ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 128
ივნისის 15, კვირა 1903 წ.
1877

ივერია

№ 128
ივნისის 15, კვირა 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე
გაზ. „ივერია“
ჰღირს 6 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ.25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

კავკასიის ნატურალური კონიაკი
დ. ზ. სარაჯიშვილისა
ტფილისში

საწყობნი: ს.-პეტერბურგს, მოსკოვს და ვარშავას. უმთავრესი კანტორა ტფილისში, ოლგის ქუჩა, საკუთარი სახლი. (50—6—22)

ჟირარდის მანუფაქტურების ს:აქც. საზ. საწყობი
სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა
მრავლად მიღებულია საზაფხულო სეზონისათვის:

საქალო მატერიები: ბატისტი, სატინა, მუსლინი, კრისტა, ლინი, არჟუანტინი, მერველიე, ბრომე, ბროდე ზოლიანი, პლიუმტი, ლევანტინ-ფულიარი, ფერადი ტილო.

საკიტელო მატერიები: კოლომენკა, რაგოჟა, ეშმაკის ტყავი-მოლესკინი, პარუსინა გიმნაზიელთა ბლუზებისათვის.

საფარდეგე ტილო და ტიკი ფარდებისა და მარკიზებისათვის
საბანაო ზეწრები, ხალათები და სხვა კუთვნილებანი
ნიმუშები უფასოდ ეგზავნებათ მსურველთ.
დონნერი და ლეიტცი. (100—61)

ისყიდება სურამში
იუნკერთა სასწავლებლის პირდაპირ მშვენიერი სააგარაკო ადგილები
„საჩხეიძო“

თვისის მდებარეობით და ჰავით ჰჯობია ყველა სააგარაკო ადგილებს. დასარწმუნებლად ვსთხოვ მყიდველებს ინახულონ ადგილობრივ.

მამული მდებარეობს შოსის გზის პირად, შიგ მამულში გაყვანილია ფართო გზები, მოაგარაკეთა სასეირნოდ დატოვებულია ორი მოზდილი „პარკი“ ფიჭვისა და მუხისა, პირობების გასაგებათ შეიძლება მიჰმართოთ:

სურამში: კნეინა ევა გიორგის ასულს ჩხეიძისას,

ტფილისში: „ივერიის“ რედაქციის კანტორას და ნოტარიუსს მღებროვის კანტორაში ერევნის მოედანი, სახლი № 2). (30—9).

ექიმი
ვ. ღამბაშიძე
იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

ხვედურეთის
აბანო.

ვისაც სურს ისარგებლოს ხვედურეთის აბანოთი, **რომელიც სამაგალითოდ რგებს ქარებითა** და სხვა მრავალ ავადმყოფთ, ვაცნობებთ, რომ ამ აბანოზედ ბანება დაიწყება **15 ივნისიდან.** საბანებლად მოსულთ შეუძლიანთ იაფ-ფასად ისარგებლონ **ახლად შეკეთებულ ოთახებით და სამზარეულოთი** და აგრეთვე მოსამსახურით და სანოვაგით; საზოგადოდ ყოველი ზომაა მიღებული, რომ სურვილისამებრ ყველა კარგად იყოს მოწყობილი. ქარელის სადგურსა და აბანოს შუა (3 ვერსის მანძილია) ივლის ყოველ დღე ლინიეკა. დაწვრილებითი ცნობებისთვის, მსურველთ ვსთხოვთ მიჰმართონ ქარელის სად. საციციანო კანტორას. ტფილისში—ნ. ს- ციციშვილს (თუმანოვის ქუჩა) და „ივერიის“ რედაქციაში სოფ. ციციშვილს. (3—143—3)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი
ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

კერძო სამკურნალო
ექიმის მუსხელაშვილისა
(გედევანიშვილისეული)
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—ორშ., ოთხშ.. და შაბათ. 10—11.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.

ზრ. ვ. სობოლევსკი—დასტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი ზ. დ. ნასარიძე.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)
46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო
სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ხ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადასტაქრო-ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ზ. ხ. ლევი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ხ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардiана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისი

◆ საქართველოს ექსარხოსს ალექსის მიუწერია გზათა მინისტრისათვის, რომ რკინის გზის მოხელეთა და მუშა-ოსტატებისათვის საჭიროა ტფილისის სადგურს ახლო საკმაოდ ფართო ტაძარი აშენდესო, და ამასთანავე სამი ადგილი უჩვენებია, სადაც უფრო სასურველი და ხელმისაწდომია. მინისტრის ამხანაგმა უპასუხა ექსარხოსს, მე ცნობები მოვსთხოვე რკინის გზის უფროსს და ის მატყობინებს, რომ ნაჩვენები ადგილები კერძო საკუთრებას შეადგენს და მათი პატრონები დიდს ფასს ადებენ თავის მამულებს; ამის გამო უმჯობესია აშენდეს ეკკლესია ნაძალადევში, სადაც რკინის გზის მუშა-ხალხი სცხოვრობს და შესაფერის ადგილის შოვნაც ადვილიაო. ამასთანავე რკინის გზის უფროსს დავავალეო, სწერს მინისტრის ამხანაგი ექსარხოსს, რომ ამ საგნის შესახებ, რაც საჭირო ცნობები გენებოთ, ყოველივე იმან მოგახსენოთო.

◆ ჩვენ გადმოგვცეს, რომ პატივცემული მ. დემურია სამკითხველოს დაარსებას აპირობს დიდუბეში, რომელსაც ბ-ნი ალალო თუთაშვილი თავის სახლში სადგურს უთმობს უფასოდ ერთის წლის ვადით, რადგანაც დიდუბეში, ქართველთ გარდა, რუსებიც მოსახლობენ, საჭიროდ მიაჩნიათ რუსული წიგნებიც იქონიონ სამკითხველოში.

◆ ჩვენს სასახელო პოეტს აკაკის ახლაი პიესა დაუწერია სოფლის ცხოვრებიდან. ის სცენა, რომელშიაც დასურათებულია სოფლის ქეიფი და გამოყვანილია სოფლის მოქეიფე, ავტორმა წაუკითხა თურმე ერთს მუდმივს მოქეიფეს, რომელსაც მოუფიქრებლად წამოსცდენია: უჰ, რა საძაგლობაა, ღვინის სმა სწორედ რომ საზიზღრობააო?

◆ ტფილისის საბაღოსნო სკოლას სუბსიდია ეძლევა მეურნეობისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსაგან, რომელმაც კარგა ხანია დაავალა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, რომ სკოლა განაკარგოს და ღვინის დაყენება შეასწავლოს მოსწავლე ყმაწვილებს. ეხლა სამინისტრომ კვალად მოსწერა სამეურნეო საზოგადოებას, რომ პირობა შეასრულოს და ვადაც დაუნიშნა; წინააღმდეგ შემთხვევაში სკოლას თვით სამინისტრო მიიღებს თვის განმგებლობაშიო. სამეურნეო საზოგადოების საბჭო ერთ თავის წევრს ეხლა მოხსენებას აწერინებს, რომელიც მალე სამინისტროს უნდა წარედგინოს.

◆ შარშანდელ სამეურნეო გამოფენაზედ მუსიკის ხორო იყო დაქირავებული „გამართობელ კომისიის“ მიერ, რომელსაც ვალად დაედო 1,000 თუმანი. მუსიკის დამქირავებელმა ბ-ნ დანდუროვმა სასამართლოში უჩივლა სამეურნეო საზოგადოებას და 1,000 მან. გადაახდევინა. რადგანაც საქმის გარჩევის დროს გამოფენის გამგემ თ-დ ანდრონიკაშვილმა აღიარა, რომ მუსიკის ხარჯი სამეურნეო საზოგადოებას-კი არ უნდა დააწვეს, არამედ „გამართობელ კომისიამ“ უნდა იკისროსო, ეხლა სამეურნეო საზოგადოებამ დაადგინა თვით გამოფენის გამგეს თ-დ ანდრონიკაშვილმა უნდა აგვინაზღაუროს აღნიშნული 1,000 მანათი, რომელიც დანდუროვმა გადაგვახდევინაო.

◆ საბაღოსნო სკოლის მზრუნველს დაავალა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ, გამოარკვიოს, რა პირობით უნდა ჩაიბაროს სკოლამ თ. ერისთავის მამული, სოფ. კასპის მახლობლად, სადაც უნდა ამერიკული ვაზი გაშენდეს, რა რიგად შეიძლება მისი გამოყენება, რა შემოსავალ-გასავალი იქნება, რა შენობები უნდა გაკეთდეს მოსწავლეთა და მოსამსახურეთათვის და სხვ.

◆ თავად-აზნაურთა დეპუტატების კანცელარია, ეხლანდელის სადგურის სივიწროვისა გამო, სათავად-აზნაურო სახლიდგან 20 ივნისს გადადის თ-დ მელიქიშვილის სახლში, სოლოლაკის ქუჩაზე. ამ სახლში კანცელარია დარჩება იმ დრომდე, ვიდრე თავად-აზნაურთა საკუთარი სახლი არ აშენდება ფრეილინის ქუჩაზე, სადაც დღეს სათავად-აზნაურო ბანკია.

◆ კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს თავად-აზნაურთა საჭიროებისათვის საკუთარი სახლის აშენება, ფრეილინის ქუჩაზე, განიხილა ორი პროექტი ახალის შენობისა. ერთის პროექტით, შენობა უნდა დაჯდეს 140,000 მან. ხოლო მეორე პროექტით ზოგიერთა რამ გასაკეთებელი ემატება შენობას და მეტი ხარჯიც დასჭირდება 70,000 მანეთამდე. კომისიამ დაადგინა შენობას შეუდგეთ პირველის პროექტით. რაც შეეხება მეორეს და მოსამატებელს ხარჯს,—თავად-აზნაურთა საგანგებო კრებას მოხსენდესო.

◆ ქალაქის გამგეობის წევრს ინჟენერ ენფიანჯიანცს გამოუცხადებია ქალაქის გამგეობასა და საფინანსო კომისიისათვის, რომ მილის წყალის დასაწმენდად ფილტრებს 10,000 მანეთი-კი არ ეყოფა, როგორც ბ-ნ ლისიციანს უანგარიშნია, არამედ 50,000 მანეთიც ნუ გეშურთო. ამის გამო ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა, წელს 20,000 მანეთი მოხმარდეს ფილტრების მოწყობას და მომავალ წელსაც 30,000 მანეთიო.

◆ ხერსონის გუბერნიის მცხოვრებს ბ-ნ ბოროვსკის თხოვნა მიუცია ტფილისის გუბერნატორისათვის, ქალაქში ღარიბთათვის თავშესაფარის გამართვა მინდა და ნებართვა მიბოძეთო; გარდასახადი მცირედი იქნება და თავშესაფართან საჩაიესაც გავმართავო.

◆ ქალაქის გადამდებ სენთა სამკურნალოში, წარსულ კვირის განმავლობაში 17 ავადმყოფი ყოფილა. ამ ჟამად სამკურნალოში 63 თავისუფალი ადგილია. იმავე დროს ქალთა სამკურნალოში 37 ავადმყოფი ყოფილა, რომელთაგან 10 მორჩენილა. ეხლა იქ 34 თავისუფალი ადგილია.

◆ კუკიაში, რკინის გზის ლიანდაგს გადაღმა, მახათის გორამდის ნადიროვსა და დოლუხანოვს 700 დესეტინა ცარიელი ადგილები აქვთ. ადრე აქ საჟენი ალაგი 10 კაპ. იყიდებოდა.

ამ რამდენისამე წლის წინეთ, ამ ცარიელ ადგილებზედ დასახლებულა რამდენიმე კომლი ქართველ ხელოსნებისა. ამათ ადგილები ქირით აუღიათ, შემდეგ რავდენიმე კომლი კიდევ მიჰმატებია, ასე რომ მალე მცხოვრებთა რიცხვი 50 კომლამდე ავიდა. მათ შორის ორი კომლი სომხიც ურევია და ერთი პოლონელი.

მიწის წაქეზებული მუშა ხალხი აქ იკეთებდა არა დროებითს ქოხს, არამედ სამკვიდრო ბინას, ქვითკირის სახლებს. ზოგმა ორ სართულიანი სახლიც აიშენა. ხალხი დაბინავდა, ყველას იმედი ჰქონდა მშვიდობით ცხოვრებისა. მიწის პატრონებმა თანდათან მიწას ქირა მოუმატეს და ისე ასწიეს, რომ საწყალი კაცი თავის დღეში ვერ აიტანს.

ასეთ საქციელს სახლის პატრონებმა მეტად უკანონოდ შეხედეს, მათ პატრონებს ქირის შეღავათი სთხოვეს, მოურიგებლობის გამო მიწის პატრონებმა სასამართლოს მიმართეს, საქმე სამართალში გაირჩა, რასაკვირველია, ადგილების პატრონების სასარგებლოდ. ექვს კომლს უკვე გამოეცხადა, რომ თქვენი სახლკარი დააქციეთ, აწმინდეთ და ადგილი პატრონს ჩააბარეთო. ეს განკარგულება მალე შესრულდება. მერე რიგი სხვა მოსახლებსაც მიადგება.

◆ თიანეთის მაზრის სკოლების მეთვალყურეს ბლაგ. მღვდ. ვლ. გძელიშვილს, მაისის განმავლობაში დაუთვალიერებია სწავლის საქმე და გამოუცდია შეგირდები შემდეგს სკოლებში: 8 მაისს ბარისახოში (ხევსურეთში), 12 მაისს ჩარგლის, ახლად გახსნილ სკოლაში, 12 მაისს მაღაროს-კარის (ფშავში) სკოლაში, 19 მაისს ახმეტისაში, 20 მაისს მატანის და 22—თიანეთის ორ-კლასიან სკოლაში. დანარჩენ: ამტნისხევის, ქვემო ალვანის (თუშეთში), პანკისის (ქისტეთი), ახიელის (პირ-იქით ხევსურეთში) სკოლების რევიზია მიუნდვია მოუცლელობის გამო სხვა მღვდლებისათვის.

◆ 13 ივნისს, დილით, რკინის გზის სამმართველოს დათვი სწვევია. ელისაბედის ქუჩაზედ ცხოველები მიჰყავდათ თურმე გალიებში. ერთი გალია გატეხილა, იქიდგან დათვი გამოსულა და კიბეზედ აბობღებულა. სამმართველოს მოსამსახურენი და მოხელენი, რასაკვირველია, დაფეთებულან და მიმალ-მომალულან. კარგია, რომ დათვს პატრონი მალე წაეწია და გამოიყვანა, თორემ თავის ნებით დათვი მყუდრო ბინას რას მიატოვებდა!

◆ გუშინ-წინ, ღამის 11 საათზედ, დიდუბეში ცეცხლი გაუჩნდა პ. რაზიკაშვილის ახალ სახლებს. ერთი ორ-სართულიანია და მეორე სამსართულიანი. ჯერ არ არის გამორკვეული, საიდგან გაუჩნდა ცეცხლი, ან დაზღვეულია, თუ არა.

აქეთური-იქითური.

III

ერთის ფაქტის გამო.

„კარგი რამ გჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია?“-ო, დიდი ხანია სთქვა რუსთველმა და მეც ისე შევეჩვიე ყოველნაირ უკუღმართობას ჩვენში, რომ სულაც აღარ მაკვირვებდა, როცა რომელიმე პატივცემულ ...ძის ან....შვილს ოჯახში მშობლიურ ენის მაგიერ უცხო ენას ვხედავდი გაბატონებულს და პაწაწა დათიკო-შალიკოებისაგან და ნუცა-თა-

მროებისაგანც აგრეთვე მშობლიურ ენაზე ტიტინის მაგიერ მესმოდა დამახინჯებული უცხო სიტყვები.

— როგორ, ქართულს არ ასწავლით თქვენს შვილებს? ვკითხავდი ხოლმე მხოლოდ ცოტათი დამცინავ ღიმილით ამ თავისის შვილების თავისისავე ხელით დამღუპველ მშობლებსა და როცა მიპასუხებდნენ:

— ეჰ, ქართული სად წაუვათ; ყოველთვის ისწავლიან და თავიდანვე, რომ რუსული არ შევასწავლოთ ცუდი გამოთქმა ექნებათო, ვდუმდებოდი. მაშ, რა უნდა მექნა? კედელზე ცერცვის შეყრას ხომ ვერ მივყოფდი ხელს?

ბედმა მარგუნა მაინც სულ სამშობლოს გარედ პატარა დაბა-ქალაქებში ცხოვრება და ამ ადგილებში-კი ხშირად ძალიანაც რომ მოინდომონ მშობლებმა, ვერ მოახერხებენ წმინდად დაიცვან ოჯახში და მით უმეტეს დააცვევინონ მშობლიური ენა პატარა ბავშვებს, რადგან გარეშემო, შინ, გადია-მოსამსახურეებისგან, და გარედ ტოლ-ამხანაგებისაგან სულ უცხო ენებზე ლაპარაკი ესმისთ.

არ მაკვირვებდა არც ტფილისში, როცა რომელიმე ქართლელი ან კახელი თავადიშვილის ოჯახს გადავეყრებოდი შემთხვევით, რომელშიაც უცხო ენა დიდებისთვისაც და პატარაებისთვისაც მშობლიურ ენად გადაქცეულიყო და მშობლიურს-კი ძლივს-ღა ედგა კიდევ სული სამზარეულოში და საზოგადოდ გოგო-ბიჭებთან-ღა სალაპარაკოდ, რადგან ვინ არ იცის, რომ ქართლ-კახეთის წარჩინებულ წოდებისათვის ეს სენი შეჩვეულ ჭირს შეადგენს და ბევრმა ამ წოდების წარმომადგენელმა თვისის გვარის დაბოლოვების „ოვ"-ად და „ევ"-ად შეცვლასთან ერთად უანდერძა შთამომავლობას მშობლიურ ენის დავიწყებაც. მართალია, ქართლ-კახეთის მაღალის წოდებიდგან წარმოითქვა მრავალმნიშვნელოვანი და ჩამაფიქრებელი სიტყვები.

„რა ენა წახდეს
ერიც დაეცეს,
წაეცხოს ჩირქი
ტაძარსა წმიდას"-ო,

მაგრამ განა ჩვენს არისტოკრატიას, განსაკუთრებით ქართლ-კახეთისას, მოუცლია ქართველ მწერლების, თუნდ მისგანვე გამოსულების, გასაცნობად.

ვიმეორებ, ყველა ეს ჩვეულებრივ მოვლენას შეადგენდა ჩემს თვალში და არ მაკვირვებდა; არ მაკვირვებდა ისიც-კი, როცა რომელიმე ქართველი, რომელსაც ქართველ მწერლად და საზოგადო მოღვაწედაც-კი მოქონდა თავი, ქართულად ლაპარაკის ვერ შემძლები უცხო ენაზე დაიწყებდა ორატორობას. ან, როგორ უნდა გამკვირვებოდა ეს, როცა ამას წინად ერთმა ქართული გაზეთის რედაქციამაც-კი საჯაროდ აღიარა, ჩვენ სულაც არ ვცდილობთ ქართული მართლ-წერა და გრამატიკის კანონები დავიცვათ; ჩვენ გვინდა მხოლოდ, ჩვენი აზრი მკითხველისათვის გასაგებად გამოვსთქვათო. ბ. „სიტყვისთვისაც" ხომ ქართული სიტყვა მხოლოდ საშუალებაა ხალხის განსავითარებლად საჭირო და სხვა არაფერი! ასე რომ, თუ ღმერთმა ქნა და ბ. სიტყვა მოესწრო იმ დროს, როცა ქართველის განსავითარებლად ქართული ენა აღარ იქნება საჭირო, რადგან უცხო ენის შემწეობითაც ადვილად შეიძლებს განვითარებას, ქართული ენის სულაც მოსპობის წინააღმდეგი აღარა იქნება-რა. აკი კარგად ცნობილი „ქართველი მეწიგნენიც", ბ.ბ. მ. ნიკოლაძე, ვ. ბეჟანიშვილი და სპ. ჭელიძე, რომელთაც მოწოდებით მიმართეს ამას წინად ყველა ქართველ მეწიგნეთ, რომ დააარსონ გამომცემელი ამხანაგობა „მხოლოდ და მხოლოდ ქართულ წიგნის მაღაზიის პატრონთაგან", ამბობენ, სხვათა შორის, თავისს მოწოდებაში: „სოფლად და ქალაქად კულტურულ უღელში შებმულ ქართველისთვის საჭირო გახდა გამოღვიძება და გათვითცნობიერება, არსებისათვის პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოსაყენებელ სატეხნიკო და სამეურნეო ცოდნათა შეძენა. ყველა ამისათვის-კი იგი ეძებს იმ შეუდარებელ და უებარ იარაღს, რომელსაც წიგნს ეძახიან. დაეძებს მას მშობლიურ ენაზე, რადგან უცხო ენა მან არ იცის"-ო. ხომ გაიგეთ, ქართველი იმიტომ-კი არ ეძებს ქართულ წიგნს, რომ ქართველია, არამედ მხოლოდ იმტომ, რომ „უცხო ენა მან არ იცის"..

ასე და ამა პირსა ზედა! ბევრ ამისთანას უცნაურობას შევხვედრივარ, მაგრამ არ გამკვირვებია, თვით „აშორდიზმსაც"-კი არ გავუკვირვებივარ; და არ მაკვირვებს არც ცნობილი „Мингрельская азбука", რუსულის ანა-ბანით დაწერილი, რომლის ავტორიც თავისს წინასიტყვაობას ამ სიტყვებით ათავებს: „Мингрельская азбука издается исключительно съ цѣлью облегчить дѣтямъ—мингрельцамъ усвоеніе русской грамоты. Нѣтъ надобности пояснять г. г. учителямъ, какъ пользоваться настоящей книгой при обученіи русскому языку. Это имъ хорошо извѣстно изъ наставленій ихъ руководителей и изъ практики. Приношу искреннюю благодарность всѣмъ принимавшимъ участіе, какъ въ составленіи азбуки. такъ и въ переводѣ статей изъ книги Вольлера и разсказовъ про старое время на Руси", თუმცა გასაკვირველი როგორ არ არის, რომ ამ წიგნს ჰქვია „Мингрельская азбука" და არა ყოველს შემთხვევაში „Русслая азбука для Мингрельцевъ", როცა თვით ავტორიც აღიარებს: "მეგრული ანბანი იბეჭდება მარტოდენ მეგრელ ბავშვებისთვის რუსულ წერა-კითხვას შეთვისების გასაადვილებლად"-ო?

დიახ, არც ერთს ამას არ გავუკვირვებივარ, ხოლო გამაკვირვა და საშინლადაც გამაკვირვა იმ ფაქტებმა, რომელიც „ივერიის" № 123 ფელეტონ „ქუთათურ რამე-რუმშია" გამოქვეყნებული. რამდენსამე წარჩინებულ გვარის შვილებს (ათი კაცია ჩამოთვლილი) მიუმართავთ ადგილობრივ სასწავლებლების უფროსებისათვის, საუმჯობესოდ მიგვაჩნია, ჩვენს შვილებს ქართული აღარ ვასწავლოთ და ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, გაანთავისუფლოთ ისინი ქართული ენის გაკვეთილებისაგანაო.

სწორედ არ მეგონა, თუ რომელიმე „წარჩინებულის გვარის შვილი ჩვენში, თუნდაც გულში წინააღმდეგი ყოფილიყო შვილებისათვის ქართულის სწავლებისა, ასე აშკარად, უცხოთა წინაშე გამოსთქვამდა ამ აზრს და ხელით გაითხრიდა თავის ზნეობრივ არსებობას სამარეს.

ამას იქით წასვლა აღარ შეიძლება ზნეობრივ დაცემისა და გათახსირების გზაზე; ეს უკანასკნელი წერტილია ადამიანობისა, რომლის იქითაც ყოველივე ადამიანური ისპობა, და მხოლოდ სულმდაბალნი და ავაზაკნი უარყოფენ ხოლმე თავის ვინაობას; თავის ეროვნების უარის ყოფაც იგივე ვინაობის უარის ყოფაა, ხოლო ვინაობის უარის ყოფა სრული ზნეობრივი გაკოტრება, ინტელეგტუანური სიკვდილია ყოველ ცალკე პიროვნებისათვის! თქვენს თავს, რაც გინდათ უყავით, ბატონებო; და, რა ნება გაქვთ, რომ საუკუნოდ ამახინჯებთ და აუბედურებთ თქვენს შვილებს, რომელნიც, იცოდეთ, მადლობას არ გეტყვიან მისთვის..

დუტუ მეგრელი.

არაკების შემკრებელთა საყურადღებოდ.

„ბალვარ და იოდასაფის" მოთხრობა ქართულად უკვე გამოცემულია. დედა აზრს ამ მოთხრობისას შეადგენს მამის ამაო ცდა, რათა შვილი გადაარჩინოს მომავალ უბედურებას. ეს აზრი აღებულია ძველად ინდოეთში ცნობილ არაკიდგან ბუდდას შესახებ და შემდეგ ბევრნაირად შემუშავებული. სხვათა შორის კალდერონმა დასწერა დრამა „ცხოვრება სიზმარია" და იგივე მოტივი შვილის უბედურებისაგან გადარჩენა დაუდო სარჩულად. საყურადღებოა, რომ ამ გვარი არაკები გავრცელებულია სხვა-და-სხვა ხალხთა შორის და ამათ რიცხვში ჩვენც მოგვეპოვება არაკი ამ შინაარსისა.

მოგეხსენებათ, რომ გამოჩენილი ბენფეის აზრით ინდოეთი იყო წყარო და დასაბამი იმ აუარებელის საარაკო მოთხრობებისა, რომელნიც შემდეგ გავრცელდა აზიასა და ევროპაში. ამ თეორიის წინააღმდეგ გამოვიდა საფრანგეთის მეცნიერი ბედიე (Ioseph Béder), რომელმაც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ბენფეის არაკების განმარტება და უარჰყო ინდოელების განსაკუთრებითი თვისება არაკების შექმნაში. თვით იმ არაკებს, რომელნიც ინდოეთიდან გავრცელებულან, ხშირად არ აზის ბეჭედი ადგილობრივის ქმნილებისა. ბენფეის მოწინააღმდეგე იმ აზრისაა, რომ უფრო ძველ ერს აქვს ნიჭი არაკების შექმნისა და ამ ნაწარმოებში დაცულია ფესვი უძველესის დროის ერის მდგომარეობისა, როგორც ამტკიცებენ ანტროპოლოგები (ტეილორი და სხ.). ღირსშესანიშნავია, რომ არაკები, რომელნიც ერთ დროს მიაჩნდათ ინდოეთში შექმნილად, მოიპოვებიან ეგვიპტეში და გამოცემულნი არიან შესანიშნავ მეცნიერის მასპეროს მიერ, რომელმაც იგინი ამოიკითხა ეგვიპტის ჰიეროგლიფებში.

ამ ეგვიპტურ არაკებში, სხვათა შორის აღმოჩნდა ისეთი, რომელიც უდრის ჰეროდოტეს მოთხრობას, ბუდდას ცხოვრებას, ბალვარის სიბრძნეს, კალდერონის დრამას, ჩვენებურ არაკს, რუსეთში გავრცელებულს ლეგენდებს და სხ.

ჰეროდოტე (I, 34—45) გადმოგვცემს, რომ კრეზს ჰყავდა ორი შვილი: ერთი ყრუ და მეორე მამაცი, ამხანაგებში გამოჩენილი, სახელად ატისი. კრეზს ერთხელ სიზმარში გამოეცხადა, რომ საყვარელი მისი შვილი ატისი რკინის ლახვრით მოკვდებაო. შეშინებული მამა შვილს შერთავს ცოლს, უკრძალავს სანადიროდ გასვლას, ომში ლაშქრების წინააღმდეგ წასვლას და ყოველნაირს ლახვარს გაატანინებს მის სახლიდგან, რომ შემთხვევით არა ეცნოს-რა შვილს. კრეზსთან შეაფარებს თავს ერთი გამოჩენილი ფრიგიელი ადრესტი, უბედური მკვლელი. ამ დროს ოლიმპზედ გამოჩნდება საშინელი ტახი, რომელიც უხდენს მიზიელებს ყანას. მიზიელნი სთხოვენ მეფეს ტახის საბრძოლველად გაუგზავნოს საკუთარი შვილის მოთავეობით რამდენიმე ახალგაზრდა მონადირე. მეფეს ეშინიან შვილის სანადიროდ წასვლისა და ამიტომ ჰპირდება დახმარებას საუკეთესო ჯარით. შვილი გაიგებს-რა მამის გარდაწყვეტილებას, სთხოვს, ნება მისცეს ტახის მოსაკლავად წავიდეს და აშოშმინებს იმ მოსაზრებით, რომ სიზმარში მამას ეჩვენა, ვითომ შვილი მოკვდება ლახვრით და არა ტახის ეშვით. მაშასადამე, მას შეუძლიან თამამად წავიდეს ტახის წინააღმდეგ, რომელსაც ლახვარი არა აქვს. სანადიროდ გაჰყვება ფრიგიელი ადრესტი, რომელიც ესვრის ტახს ლახვარს, მაგრამ ლახვარი მიზანს ასცდება და მოხვდება თვით მეფის შვილს. უმაწვილი კვდება და ამგვარად სიზმარი ასრულდა.

ამ არაკის აზრი ის არის, რომ ბედის წერას კაცი ვერსად წაუვა. ამგვარი არაკი აღმოჩნდა ეგვიპტურ ჰიეროგლიფებში (Le primce predestinè). ეგვიპტეში ცხოვრობდა ერთი უშვილო მეფე, რომელსაც დიდი ვედრების შემდეგ მიეცა ვაჟი. ამის დაბადების შემდეგ დედა-ღმერთამ (გატორა) უწინასწარმეტყველა, რომ მეფის შვილი მოკვდება გველის, ან ძაღლის ნაკბენისაგანო.

ქართულს არაკში აგრეთვე მეფეს ათხილებენ, რომ მისს შვილს უწერია მგლისაგან სიკვდილი. ამიტომ მეფე აუშენებს შვილს სასახლეს და არსად უშვებს, რომ უბედურება აცდინოს, მაგრამ „ბედის წერას" ვერვინ წაუვა. ერთი დედაკაცი მიართმევს მეფის შვილს ცოცხს და ეს ცოცხი გადიქცევა მგლად და დაჰკბენს საბრალო უმაწვილს. კბენა გახდება მის სიკვდილის მიზეზად.

სასურველია, რომ ეს მოკლედ ნაამბობი არაკი ჩაიწეროს დაწვრილებით და გამოქვეყნდეს რომელსამე ჩვენს გაზეთში.

ა. ხახანაშვილი.

ჩვენებური ამბები

ახალ-სენაკი. დ. ახალ-სენაკი გონებრივ საზრდოს ნაკლებ ეტანება და ამიტომაც ძალიან ეჯავრებათ ისეთი რამ, რაც გონებრივ განვითარებას შეეხება მაგალითად მთელ სენაკში ერთი სამკითხველო და წიგნთ-საცავი არ მოიპოვება. აქ მცირე რიცხვი არ სცხოვრობს თავად-აზნაურთა და ინტელიგენციისა. ნუ თუ მათის შემწეობით და მეთაურობით არ შეიძლებოდა სამკითხველოს დაარსება, მით უმეტესად, რომ სახლს სამკითხველოსთვის და წიგნთ-საცავისთვის ადგილობრივი მაზრის უფროსი უთმობს უფასოდ, ოღონდ სამკითხველო დაარსდეს. მარტო წარმოდგენების საქმე გვიმტკიცებს აქაურების გულ-გრილობას. შარშან 29 ივნისიდგან აქ წარმოდგენა არ გამართულა. ძლივს, წელს 8 ივნის, სცენის მოყვარულთა ამხანაგობამ გამართა წარმოდგენა. წარმოადგინეს „ქართველი დედა", ისტ. დრამა 4 მოქმ. აქვ. ცაგარლისა და „ორი მშიერი" ხუმრობა 1 მოქ. აწყურელისა. წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა. ვოდევილმა ხალხი ბევრი აცინა. ხალხი ბლომათ დაესწრო და კარგა ნასიამოვნებიც დარჩა. წარმოდგენა გვიან გათავდა, ღამის 2 საათზედ.

სტუმარ-შორეული.

სამტრედია. აი რა არის აღსანიშნავი: გვეწვია ვასო აბაშიძე თავის დასით. ორი წარმოდგენა გვიმართა: „ხანუმა", „ჯერ დაიხოცნენ, მერ იქორწილეს" და „პარიჟელი ბიჭი". წარმოდგენებმა საუცხოვოდ ჩაიარა. ხალხი პირველად ძალიან ცოტა დაესწრო, მეორეჯერ-კი—ცოტა მეტი. უნდა ნახოთ ჩვენი თეატრი, როცა მასხარა ვინმე მოდის, როგორ ივსება ხალხით. ასეთ შემთხვევებში-კი ცარიელია, ბარაქალა საზოგადოებავ!

სამტრედიის თეატრის ადმინისტრაციის ნაკლი მუდმივი ხმაურობა და უწესობა არის. ხშირად წარმოდგენის დროს, როცა საზოგადოების ყურადღება ვისმე ხელოვნურის თამაშობით სრულიად შებოჭილია, თეატრის სახურავზე გაჩნდება ქვების წვიმა, რახა-რუხი და ადამიანს თავ-გზა ებნევა. თეატრის გამგეობა შემდეგ ოინებს ჰხმარობს ხშირად. აფიშებზე აცხადებს—ბილეთების ფასი ექვსი შაურიდან იწყებაო. ნამდვილად-კი, როცა ბილეთის სასყიდლად მიდიხარ, გეუბნებიან: ექვს შაურიანი აღარ არისო. იძულებული ხარ, ათ შაურიანი ბილეთი იყიდოთ, თუმცა კარგათ იცი, რომ ექვს შაურიანიც ბევრია. ასეთ ნაკლს ჩვენი გამგეობა თითონ არასოდეს არ გაასწორებს, თუ თითონ საზოგადოებამ არ მოითხოვა. საზოგადოება-კი სთვლემს!..

ფელეტონი

შურდული

(საკვირაო გაზეთი)

XI

ტფილისს, 15 ივნისს.

ვინ სთქვა ქართველთა შორის საუნჯე არ მოიპოვებაო? ხალასი სიცრუე უკადრნია. აიღეთ, მაგალითად, „მოგზაური". იგი ერთად-ერთ საუნჯედ, ერთად-ერთ სალაროდ არის გადაქცეული და ამას გვასწავებს თვით „მოგზაურის" საოცარი რედაქტორი, ივანე პავლიჩ როსტომაშვილი.

„ასეთი ცოდნის სალარო მარტოოდენ ჟურნალი მოგზაურიაო", ბრძანებს იგი თავმდაბლად ჭეშმარიტი მოყვარის პირით. საუნჯეს წარმოადგენს აგრეთვე ყოველი მისი ნაწარმოები. აიღეთ, მაგალითად, მისგან გამოცემული წიგნები. იგინი არიან ჭეშმარიტნი საუნჯენი. ამაში გვარწმუნებს იგივე ივანე პავლიჩი, რომელიც ზედ აწერს თავისს ნათარგმნებს: „საუნჯე მეურნისა", „საუნჯე ავადმყოფობისა" და სხვანი.

ავშენდით და გავმდიდრდით!..

—

ფელეტონი

სიმღერა

(ვუძღვნი ქერქ-გამოცვლილ მგოსან-პუბლიცისტს)

ბოდიშს ვიხდით, უცხო სტუმარს
ღირსეულად ვერ დაგიხვდით,
და თქვენს ქვემძრომ მისწრაფებათ
გულუბრყვილოდ ვერ მიგიხვდით.

—

მაგრამ გვწამს, რომ ისტორია
მართლი საზომი სასწორია:
თვით მოძმენიც გაჰკიცხავენ
მას, რაც შენი ნაშრომია.

—

შავ წერტილით აღინიშნის
შენგან განვლილ გზა და კვალი;
თუმცა ქსელში დღეს იმალვი,
ნათლად განგსჭვრეტს მომავალი.

—

მკაცრად დაგგმობს ხალხის მსჯავრი,
ფაქტების წინ ვერ იცრუებს
და ვერც ერი თავმოყვარე
უღირსს შვილად ვერ გიგულებს.

ნ.

—

მელია

(ზღაპარი)

ჩემს მელიას ცოტა რამ მზგავსება აქვს სულხან-საბა ორბელიანის მელიასთან, მაგრამ განსხვავებაცაა მათ შორის. სულხანის მელია იერუსალიმს მიდიოდა სულის სა ცხონებლად, გზაზე ლილით სავსე ქვევრში ჩავარდა და სულ ერთიან ლილის ფრად შეიღება.

ჩემი მელია-კი ბუნებითვე შავი გახლდათ..

დიაღ, იყო და არა იყო-რა, ღვთის უკეთესი რაღა იქნებოდა, იყო ერთი ავი და შავი მელია. ისეთი შავი იყო, ისეთი შავი, როგორც ყურჰი; მზეზე ისე ბზინავდა, როგორც გიშერი. ყველას ენატრებოდა მისი ტყავი, განსაკუთრებით დიდ ბობოლაებს მოსწონდათ: „ნეტავი მაგის ტყავი ჩემი პალტოს საყელოდ მამცაო, ამბობდა ერთი. " იჰ, ნეტავი, თქვენი სიცოცხლით, ჩემ მაშინკას მისცა „ვარატნიკადაო". ძალიან ცდილობდენ შავი მელიასათვინ ტყავი გაეძროთ, მაგრამ მელია რის მელიაა, თუ იგრე ადვილად გააძრობინებდა ვისმეს თავისს ტყავსა. ღვთის წინაშე, ბეწვებს-კი აძრობდენ ხოლმე; თუმცა-კი ემწვავებოდა, მაგრამ მოთმინებას თავი არ ასტკივაო, იტყოდა ხოლმე მელია და მოჰყვებოდა კვალად მხეცებში ცუნცულსა და კუდის ქნევასა.

გაუვარდა მელიას ჭკუის სახელი და სპილომ, რომელიც ერისთავად იჯდა ერთს უდაბურს ტყეში, ქათმებისა და ცხვრების უფროსობა ჩააბარა. თუმცა ცხვრებს მინამდე მგელი უფროსობდა, მაგრამ იგი მხოლოდ მარტო ტყავს აძრობდა და ცხვრების სულს-კი არას ერჩოდა.

— აბა, ჩემო მელია, შენი ამბავი ცის კიდიდამ კიდემდე გაისმის, ყურები გამომიჭედეს, დიდი გულთმისანი, დიდი კუდიანი არისო...

— კუდიანი-კი ძალიან გახლავარ: ჩემი კუდი სწორედ ეზოს ცოცხსა ჰგავს...

— ააა, მასხარაც ყოფილხარ! კარგია, კარგი! ხანდისხან კიდეც გამართობ!.. აი, ჩემო მელია, დღეიდამ შენ გნიშნამ მოურავად ქათმებისა... ე ი. ყველა ფრთოსანთა მოურავად...

— ვვვ! მწ, მწ!... მელიას მოაყოლა ძაგძაგი, პირი ნერწყვით აევსო, სიტყვები ტუჩზე შეახმა და შორისდებულებით იწყო სიამოვნების გამოთქმა.

— ჰაი, შე თავლაფიანო! მაინც შენმა ბუნებამ თავი იჩინა... სჭამე, რამდენიც გინდა, მაგრამ... ჰო, იმას ვამბობდი: გაბარებ ყველა ფრთოსანთა მოურავობას და აგრეთვე თხაცხვართა მოურავობასაც,—მეჯავრება მე ამ ტყის ფრთოსანთა სხვა-და-სხვა ხმაზედ ყივილ-კაკან-ხავილი, ცხვართა ბღავილი, თხათა კიკინი. მგელი მყავდა მოურავად, მაგრამ ის მხოლოდ ერთს ტყავს აძრობდა, შენ-კი ორი უნდა გააძრო, ორად-ორი, მეტს არას მოგთხოვ... ჰო, თავი და თავი კინაღამ დამავიწყდა: უნდა ასწავლო მელური ხავილი.

— თქვე დალოცვილო, პირმეტყველებისათვის კი მრავალჯერ მისწავლებია მელური ხავილი, მაგრამ პირუტყვებს რავა ვასწავლო.

— სუს!!. ხმა ჩაიკმინდე! ურჩობასაც მიბედამ? დაუყვირა სპილომ და მელია ხორთუმით ჰაერში ააპროწიალა.

მელია შეშინდა, ხავილს წკმუტუნიც მიაყოლა, ევედრა, არ გადმომანარცხო მაგ სიმაღლიდან, იყოს ნება თქვენიო. როდესაც მელია ზეცით ხმელეთზე ჩამოუშვა და ხორთუმის ჭახრაკიდამ თავი იხსნა, დაეცა სპილოს ფეხ-ქვეშ, სულ მთლად გაულოკა და მოწიწებით უთხრა: ნუ მომკლავ უდროოდ, თქვენსა მზესა; გებრალებოდეს ჩემი წვრილი ცოლ-შვილი. იყავნ ნება შენი; მზად ვარ შევასრულო იგი.

შეუდგა შავი მელია თვის საქმესა.

მამლებს სიცილად არ ეყოთ, ბატებმა სისინს უმატეს, ინდოურები საშინლად აიფხორნენ; თხამ უარესად მორთო კიკინი, მხოლოდ ცხვრები არც აქეთ იყვნენ, არც იქით.

ერთხელ მელას წიწილ-კრუხი შაეყარნა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ხავოდა. მოეპარა ერთი უშველებელი მამალი და ისეთი ჩაჰყივლა მელიას ყურში, რომ ყურის აფსკა გაუსკდა და, ის იყო და ის, ცალი ყურით დაყრუვდა. წიწილ-კრუხმა ნაცნობი ხმა რომ გაიგონეს, გაშალეს პაწია ფრთები, იფრინეს და მამალს გარს შემოეხვივნენ.

იწყინა მელიამ, იწყინა ეს ამბავი და საჩივრით მიჰმართა ტყის ერისთავსა. ერისთავმა ცეცხლი გადააყარა თავზედ.

— მაგ ტყავს გაგხდი და შენის თვალით გაცქერინებ, თივით როგორ გავტენ... არა, მოვსტყუვდი... შენ მხოლოდ მელიას სახე გადევს, მისი უნარი-კი ღმერთს არ მოუცია.

— მაშ რა მექმნა, დიდო ბატონო, თუ საჩივარი არ მომერთმია... მე განგიცხადეთ მათი ურჩობა და რომ მე იმათ თავხედობას არ შევარჩენ, ამას მალე დაგიმტკიცებ.

— აჰაა, შეიბი ეს საყელო, რომ სხვა მელიებისაგან ერჩეოდე. გასწი, გაფრინდი, უკან აღარ მოიხედო და ჩემი ბრძანება მყისვე მოიყვანე აღსრულებაში.

მოსძურწა მელიამ; კუდი მხარზე გაიდო და გარბის ტყისაკენ, გარბის, რაც ძალი და ღონე აქვს.

წინ შეეხეჩა თხა-ცხვრის ფარა. ციკან-ბატკნები ხის ფოთლებს ეპოტინებოდნენ, ხტოდნენ, ნავარდობდნენ. ბოტი თხა, ბელადი ფარასი, თავს იქნევდა, წვერს აცანცარებდა.

მოცუნცულდა შავი მელია, წინ გადუგორდა ბოტსა, კუდი ამოუფაჩუნა ღაბაბში. ბოტს კუდის ცაცუნი ეუცხოვა, უკან გადგა, რქები მოიმარჯვა. მელია წამოხტა, დაიხავლა. ციკან-ბატკნებს ეს ხმა ეუცხოვათ, საზარელი ბღავილი მორთეს.

ბოტმა ფეხები დააბაკუნა; ურქინა, ერკემალსაც გული მოეცა; დაჰკრეს ნაღარა, ეცნენ მელიას და რქებზედ აიცვეს.

მელიას ტყავი თივით გატენეს და მაღლა თხმელაზე ჩამოჰკიდეს. დღე-მუდამ ქათმები ასხედან ზედ, ჰკორტნიან ტყავსა; ბატები და აფხორილი ინდოურები ქვემოდამ შეჰკრკიტებენ.

ბევრი ეძიეს მელია, ბოლოს საყელოზე იცნეს, მიწას მიაბარეს და ქვაზე წააწერეს:

ვაი, შენ, ჩემო მელია,
არ გამოგადგა ხრიკია!!

—

პირი—იქ დავაგდე,
ლხინი აქ მოვიტანე;
ნაცარი იქ დავყარე,
ფქვილი აქ მოვიტანე.

წ—ი.

ტფილისი

— ტფილისში შემდგარა ქალთა საზოგადოება „ბაქარა", ანუ ბაკარა. ეს საზოგადოება ყოველთვის გამართავს, ე. ი. ყოველ დღე, ქაღალდის თამაშობასა. ვისაც ჯიბეების დაცარიელება უნდა, მიჰმართოს ამ საზოგადოებას.

— ტფილისშივე არსდება მეორე საზოგადოება, მაგრამ არა მშვენიერის სქესისა, არამედ მამა-კაცთა. ამ საზოგადოებას აზრად აქვს გამართოს სასწავლებელი ბანქოს მოთამაშეთა. უმთავრესი საგანი იქნება „ქულიკობა" ბანქოობის დროს, ქაღალდის შეცვლა შეპარება და სხვა ამგვარები.

— დღეს კუკიის წყლის აუზს სწმენდენ; მთელი დღე უწყლოდ დავრჩებით; გამგეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ-ნ საყვარელიძის კონცერტმა, რომელიც სამტრედიაში 8 ივნისს გაიმართა, კარგად ჩაიარა, საზოგადოებამ რამდენიმე სიმღერა გაამეორებინა მომღერლებს. ტაშის ცემას საზღვარი არ ჰქონდა. მომღერლებმა, ჩვენ გვგონია, გარეგნობას მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ და საზოგადოების სისუსტით არ ისარგებლონ. ზოგს ჩოხა ეცვა, ზოგს ბლუზა ზოგს—მარტო ახალუხი.

დიდ ხანს იყო სამტრედია მოკლებული ექიმს. ფელშერიზმს დიდი გასავალი ჰქონდა. ამ ბოლო დროს კი ერთად ორი ექიმი მოვიდა. ეგ საზოგადოებისთვის ძალიან კარგია, თუ თითონ რომელიმე ექიმთაგანმა არ მიატოვა „ბრძოლის ველი“, რაც მოსალოდნელია.

ქსენონი და საკვირაო სკოლა ხომ განისვენებენ და განისვენებენ. ქსენონის შესახებ განაჩენი შემდგარა (თუმცა მის ნახვას ვერავინ ეღირსა), მაგრამ მთელი საქმე ამით დასრულებულა. საკვირაო სკოლას კი უფრო მასხრული ბედი ეწია. ათასჯერ ჯვარს აცვეს; ვიცით, რომ ამ სკოლის სასარგებლოდ და სამინისტრო სასწავლებელთან ბიბლიოტეკის მოსაწყობად საზოგადოებამ ხუთი თუმანი შესწირა, მაგრამ აქამდე არც სკოლაა, არც ბიბლიოტეკა. „მიზეზი ბევრიაო“, ამბობენ ჩვენი პიონერები, შეიძლება, თუ კი „მიზეზიანობას“ მიზეზი დაერქმევა.

აქაური ერთ კლასიანი საქალებო სკოლა საზოგადოებამ ორკლასიანად გადააკეთა. განაჩესი შესდგა და ენკენისთვიდან უკვე ორკლასიანი სკოლა გვექნება, თუ „სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო“ ისევ ერთ კლასიანი არ დარჩა. ამას წინად ვიღაც სანდრო სწერდა სამტრედიიდან: „გუბერნატორმა დაათვალიერა სახვევი ქარხანა, სადაც 200-მდე ქალი მუშაობდაო“. ეგ ტყუილია, დღემდე, 9 ივნისამდე, ქარხანაში არავინ არ მუშაობს. (ვმადლობთ ბ-ნ სანდროს თავისი სიმპატია-ანტიპატიის ასე თვალსაჩინოთ გამოხატვისათვის). დღეს-კი მუშაობა კვლავ დაიწყო, მაგრამ სულ სხვა, გაცილებით უკეთეს გარემოებაში, მაგრამ ამაზე შემდეგ.

Agitato.

რუსეთი

ფინანსთა სამინისტრომ განმარტა, რომ თეატრები, ყაზარმები იმ უძრავ ქონებად არ უნდა ჩაითვალოს, რომელსაც სარგებელი მოაქვს, ან და მუდმივი ღირებულება აქვს, რასაც უნდა მიაქციოს ყურადღება ქალაქის საკრედიტო საზოგადოებებმაო.

— 14 ივლისს ეკატერინბურგში მოხდება ქიმიკოსთა და მეტალურგთა კონგრესი.

— სენატმა განმარტა, რომ რკინის გზის მოანგარიშების დანაშაულობას სამსახურის დროს სასამართლო გაარჩევს, როგორც თანამდებობის კაცებსო.

— საპასაჟირო მოძრაობის მოსაწესრიგებლად გადაწყვეტილია: უნდა შემოღებულ იქმნას მატარებლის უფროსის თანამდებობა. მატარებლის უფროსი ვალდებული იქნება თვალი ადევნოს, მატარებელმა არ დაიგვიანოს, თუ იგვიანებს, საშუალება გამონახოს ჩქარა წავიდეს; დაიცვას საჭირო სისუფთავე ვაგონში, პასაჟირები თავთავის ადგილას დასვას და სხვა.

— ფინლიანდიაში სხვა-და-სხვა ადგილებში 11—12 ივნისს (ახ. სტ.) თოვლი მოსულა.

— ვიბორგში მიწის თხრის დროს უპოვნიათ ერთი სპილენძის დიდი ქვაბი, რომელშიაც სამი ათასი ვერცხლის ფული ყოფილა. ფული მოჭრილი უნდა იყოს მეთექვსმეტე საუკუნეში.

— ხერველსალმში (ფინლიანდიაშია) მიწა იძრა. სახლები შენძრეულა. სტოლიდან ნივთები გადმოვარდნილა.

— ევკერდიმინგის მიწად მფლობელი კანიანენი სეირნობდა ნავით თავის მამულში. ამ დროს ვიღაცას თოფი გაუსვრია, ტყვია მემამულეს მოხვედრია მხარში. მსროლელი ვერ აღმოაჩინეს.

— ამ წლის აგვისტოდან პეტერბურგში დაარსდება ქალთა ახალი კომერციული სასწავლებელი. პირველ ხანს სასწავლებელში შვიდი კლასი იქნება, შემდეგ ერთ კლასსაც მოუმატებენ. პროგრამა ქალების გიმნაზიის პროგრამას უდრის. სასწავლებელში ასწავლიან აგრეთვე ფრანგულს ნემეცურს და ინგლისურს ენას. სასწავლებელში კურს დასრულებულთ ნება ეძლევათ უმაღლეს ქალების კურსებზე და ქალების საექიმო ინსტიტუტში შევიდნენ.

იუჟი. მუშას ბაზრიკის ხორცის დუქნიდან დამპალი ხორცი ეყიდნა. მუშას ხორცი ფაბრიკის ეზოში შეენახა. მუშებს სუნი მოხვედრიათ აყროლებულის ხორცის და ფაბრიკის ექიმისთვის უჩვენებიათ. ექიმს არ სცოდნია, სად იყიდა მუშამ ხორცი და დაუყვირა: „ეს ხორცი მოჰწამლავს კაცს! წაიღეთ, გადაავლეთ ნავთი და დამარხეთ მიწაშიო!“ მუშას უთქვამს, რომ ხორცი ფაბრიკის დუქანში ვიყიდეო. მაშინ ექიმი მორბილდა და უთქვამს მუშისთვის: წადი, წაიღე ეს ხორცი ისევ უკან და სხვა ნაჭერი გამოართვიო. მუშაც ასე მოქცეულა. ექიმიც ასეთი უნდა!

ყოჩაღ ექიმო!!

— როგორც „კიევლიანი“ იტყობინება, კიევის პოლიცმეისტერს უბრძანებია ბოქაულებისათვის, ჩქარა, დაუყონებლივ გააძევეთ კიევიდან ყველა ებრაელი ყასაბი, გარდა იმისა, რომელთაც კანონიერად ნება აქვს კიევში ცხოვრებისაო.

უცხოეთი

სერბია. მეფე ალექსანდრეს ნათესავთაგან ცოცხალი გადარჩა: მეფის მამიდა და ბიძაშვილი მაიორი ლაზარევიჩი, ორივე ბელგრადში ცხოვრობენ. გადარჩნენ აგრეთვე ბარონესსა ნიკოლიჩისა, (ფრანცეს ბადში სცხოვრობს), და ბარონესსა ტუკა—(კარლოს ბადში).

— გაზ. ,,პეტი ბლო‘‘ იტყობინება: ყოვლად სამედო დიპლომატიურ წყაროებიდგან გავიგეთ, რომ ობრენოვიჩების გვარი მეფე ალექსანდრეს სიკვდილით არ მოსპობილა, რადგან სტამბოლში ქ-ნ ხრისტიჩთან ცხოვრობს მეფე მილანისა და ქ-ნ ხრისტიჩის უკანონო შვილი. ქ-ნ ხრისტიჩს ხელში ჰქონია მილანის საკუთარი ხელით დაწერილი მრავალი წერილები, რომელნიც ამასვე ჰმოწმობს.

— გაზ. ,,ბელგრად. ლისტ‘‘-ი სწერს: ,,ელვასავით დაირბინა ჩვენი ქალაქი სერბიის ,,დემონის‘‘ მკვლელობის ამბავმა. გახარებული მოქალაქენი ქუჩებზე გამოეფინენ და აღტაცებით გაიძახოდნენ: ,,გაუმარჯოს სერბიას! გაუმარჯოს სერბიის ხალხსაო‘‘!

ამ წლინახევრის წინად ალექსანდრე მეფემ გადასწყვიტა თავის დაზღვევა დაახლოვებით 10,000,000 ფრანკამდე, მაგრამ ვერც ერთი დამზღვევი საზოგადოება ვერ დაითანხმა—მეტად დიდი თანხაა. ბოლოს, როგორც იყო ,,ურბენის‘‘ დამზღვევ საზოგადოებამ გაჰბედა ალექსანდრეს დაზღვევა, რადგან 30,000 ფრანკი ყოველ-წლიური სარგებელი სარფად ეჩვენა. მაგრამ როგორც შემდეგში აღმოჩნდა, მეფე ალექსანდრეს არა ჰყოფნოდა ფული, რომ ამდენი სარგებელი ეხადნა და ცხრა თვის შემდეგ უარი გამოეცხადებინა ,,ურბენის‘‘ საზოგადოებისათვის.

— გაზ. „ნ. ფრ. პრ.“-ს მოჰყავს თავის თანამშრომლის საუბარი პაშიჩთან. პაშიჩს გადაჭრით უარ-უყვია, ვითომც მას და ვუიჩს ჩაეგონებინოსთ მეფისთვის,—დედოფალ დრაგას გაეყარეო. თუმცა ძლიერ ჰსურდათ ამის ჩაგონება, მაგრამ ეს ყოვლად მოუხერხებელი შეიქმნა. კორესპონდენტის პასუხად,—რამ გამოიწვია სისხლის ღვრაო—პაშიჩს განუცხადებია: „კარგად ვუწყით, რომ ჩვენში, სერბიაში, სახელმწიფოს ერთს ცვლილებას ზედვე მისდევს მეორეც; თუ ერთი კანონი დაირღვა, მეორეც ზედ მიჰყვება. ჩვენ, სერბნი, ანუ სლავიანები პასსიურნი ხალხი ვართ ბუნებით და კანონების დარღვევისათანავე „არ აღვენთებით ხოლმე. მუდამ დაუსრულებელ მოლოდინში ვართ, სინამ მრავალი ცოდვები არ მოიყრის თავსა და გაჭირვებულ მდგომარეობიდგან გამოსასვლელ გზას არ დავინახავთ. ალექსანდრე მეფის ახირებული მართვა დაღუპვას უქადდა მთელს სამეფოს და თითქმის კიდეც მიიყვანაო. შემდეგ პაშიჩს უთქვამს,—არა მჯერა, ვითომ მეფეს გადაწყვეტილი ჰქონოდეს დედოფლის ძმის ნიკოდიმ ლუნევიჩის მემკვიდრედ დანიშვნა, მაგრამ, ის კი ეჭვს გარეშეა, რომ დრაგას სურვილი მხოლოდ ეს იყოო. კორესპონდენტს უკითხავს,—მართალია, ვითომ ალექსანდრე მეფემ პატიოსანი სიტყვა დასდო,--არ გადავცემ ტახტს დედოფლის ძმასაო?

„განსვენებული მეფე—უპასუხა პაშიჩმა—ძლიერ ხშირად იძლეოდა „პატიოსანს“ სიტყვას, მაგრამ პატიოსნადვე არღვევდა, თუ კი საჭიროდ სცნობდა ამასაო. 1901 წლის კონსტიტუციასაც შეჰფიცა და მეფური სიტყვაც დასდო, ეს უკანასკნელი ცვლილებაა ამ ქვეყნის მმართვა-გამგეობაშიო, მაგრამ ეს უკანასკნელი სიტყვა მაინც დაარღვია“.

— მკვლელობის მოხდენამდე სერბიის ორი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწენი პარიჟს გამგზავრებულა ნატალია დედოფალთან და ჩაუგონებიათ,—ურჩიე შენს შვილს დრაგას გაეყაროსო. პოლიტიკოსებს ამასთანავე მოუგონებიათ ნატალიასათვის, რა განსაცდელი მოელოდა მთელს დინასტიას. ნატალია დედოფალს მაინც უარი განუცხადებია ამ მოციქულთა წინადადებაზედ—„ნუ გამახსენებთ ნურაფერს მაგის შესახებ. სანამ სერბიის ტახტზედ დრაგა მაშინა ზის, მე შვილი არა მყავსო“.

ნარკვევი

„Вѣст. Евр.“-ის უკანასკნელ წიგნში ნაამბობია, რომ ხარკოვის გუბერნატორმა, როცა დაიწყო უკანასკნელი მორიგი საგუბერნიო კრება ერობისა, აღნიშნა, საერობო მეურნეობისა ნაკლულევანებანი და სხვათა შორის სთქვა:

> ბევრი ერობა მინახავს, მაგრამ ასეთი საერობო დაწესებულება, როგორიც თქვენს გაქვთ, არსად არ შემხვედრიაო.

საერობო კრებამ იწყინა ასეთი სიტყვები გუბერნატორისა, გადასწყვიტა, რომ კანონით გუბერნატორს ნება არა აქვს ამ გვარად საერთოდ დაჰგმოს მოღვაწეობა დაწესებულებისაო და იჩივლა უმართებულეს სენატში. სენატმა არ შეიწყნარა შუამდგომლობა ერობისა გუბერნატორის მიცემისა პასუხის-გებაში სისხლის სამართლის წესით, გარნა მოქმედება გუბერნატორისა მაინც უკანონოდ სცნა.

ამაზე მეშჩერსკი თავის „Гражданинъ“-ში სწერს დიდის გულის-წყრომით:

> ახალი პრინციპი შემოდის. ამიერიდგან გუბერნატორს ნება ერთმევა საყვედური უთხრას ერობას, თუ მისი მოქმედება მავნებელია გუბერნიის მკვიდრთათვის, მეტადრე თუ იგი, საყვედური გამოთქმული არ არის თავაზიანად. გუბერნატორს რომ ეთქვა ოსტროვსკის გმირებივით, გამეცალეთ აქედან, ტუტუცებოვო, მაშინ კიდევ შეიძლებოდა პასუხის გებაში მიცემა გუბერნატორისა, გარნა არ მესმის, როგორ უნდა ჰსცნა ურიგოდ მოქმედება გუბერნატორისა, როცა მან ერობის უმსგავსობას უწოდა უმსგავსობა. გუბერნატორს რომ უმსგავსო ეწოდებინა უმაღლესის სახელმწიფო დაწესებულებულების მოქმედებისათვის, მაშინ კიდევ შესაძლო იყო მოგვეთხოვნა, რომ პასუხი ეგო გუბერნატორს. ხოლო ერობის მიმართ გუბერნატორს ვერ წაართმევთ უფლებას უთხრას უფროსის—დაჰგმოს მისი (ერობის) მოქმედება ასე, თუ ისე: სუსტად, სასტიკად და მეტად სასტიკად, რადგან ერობა არ შეიძლება არ ემორჩილებოდეს სადისციპლინო წესით გუბერნატორს. მინისტრს ყოველთვის შეუძლიან უთხრას დეპარტამენტის დირექტორს, რომ დეპარტამენტის მოქმედება უმსგავსოა და არა მგონია სენატმა ეს სიტყვა მინისტრისა ურიგო სიტყვად დასახოსო.

ამაზე „Вѣст. Евр.“-ი სამართლიანად ამტყუნებს მეშჩერსკის უვიცობაში და ამბობს, რომ გუბერნატორი უფროსი არ არის ერობისაო. ერობა ხომ გამგეობა არ არის, რომელიც იერარქიულად ასე თუ ისე დამოკიდებულია გუბერნატორზე. აქ მთელი საერობო კრებაა, რომლის წევრთ ადმინისტრაცია არ ამტკიცებს, რომლის წევრნი, როგორც ხმოსანნი, სახელმწიფო სამსახურში არ ითვლებიან და სადისციპლინო პასუხის-გებას არ ექვემდებარიან.

გუბერნატორს არ შეუძლიანო, განაგრძობს შემდეგ ჟურნალი—არავითარი ბრძანება მისცეს საერობო კრებას, არ შეუძლიან არც ერთი მისი გადაწყვეტილება გააუქმოს თავის ძალით. ის დადგენილებანიც კი, რომელიც გუბერნატორმა უნდა დაამტკიცოს, თუ თანახმა არ არის მისი, უნდა წარუდგინოს საგუბერნიო საერობო საქმეთათვის დაწესებულ საკრებულოს დასამტკიცებლად, ან მინისტრს, თუ საკრებულოში გუბერნატორი არ დაეთანხმა უმეტესობის აზრს.

როცა ასეთია ურთიერთობა გუბერნატორსა და ერობის შორის, ცხადია, გუბერნატორს ნება არა აქვს, არც სუსტად და არც სასტიკად მიჰმართოს საყვედურით ერობას; შეუძლიან მხოლოდ თავ-დაკავებით აღნიშნოს ის დარგნი საერობო მეურნეობისა, რომელთაც განვითარება, განკარგება და შესწორება ეჭირვებაო.

დასასრულ ჟურნალი ამბობს:

> ჩვენ ვიცით და ვამტკიცებთ, მინისტრმაც რომ მიჰმართოს საჯაროთ სიტყვით დეპარტამენტის დირექტორს და უწოდოს უმზგავსო მთელის დეპარტამენტის მოქმედებას, სენატს არ გაუჭირდება გადაწყვიტოს, რომ აგრეთი ლაპარაკი ურიგოა და ყოველშემთხვევაში სასურველი არ არის... ადმინისტრაციის სახელისათვის უფრო საშიშია, როცა მის თავ-დაუკავებელს კადნიერებას არავინ შეაჩერებს, ვიდრე როცა მოაგონებენ, რომ საჭიროა ფრთხილად ჰხმარობდეს თავის ძალას და ხელმწიფებას, არა მხოლოდ მოქმედებითა, არამედ ლაპარაკის დროსაც.

იმავე ნომერში ჟურნალი შეეხება მწერლობის ხასიათსა და მოვალეობასაც და ამბობს, რომ მწერლობას ნაყოფიერი სამსახური ქვეყნისა შეუძლიან მხოლოდ იმდენად,

---

აფრთხილებს მცხოვრებლებს, ყური უგდონ წყლის მილებსა, რადგანაც მოსალოდნელია, რომ სხვა-და-სხვა მწერები აირევიანო.

— ერთს წუმწუმ-პაპიროსიან მეწვრილმანეს, რომელიც გაზეთებსაცა ჰყიდის, მიუხტა იარაღში გამოწკეპილი ახოვანი გმირი და შეუტია:

— როგორ თუ შენ „ბაქოსა“ ჰყიდიო.

-- ვაში ბლუდოროდე, მილსტი ღოსდარ! მინე ბყდნი ლაოჩნიკ, პაჩუმ ზნაიმ, კაკოი ხოროშ, კაკოი ნეღოდიცა გაზეთ—ლისტოკ, მინე ნე დირეხტურ, ნი დოხტურ.

— ეხლავე თავს გაგაგდებინებ.

— ვაი, ვაი, ბარინ, ნაშთო თიბე მოიგოლოვა, ვაზმი ვსი გაზეთ, პარვი, კურუ ბრასაი.

ამ ლაპარაკს ხალხი წაესწრო და გაფითრებული მეწვრილმანე დუქნიდგან გააპარა.

ჩვენებური ამბები.

თელავი. გუშინ საღამოთი ჩვენი მეძროხე შინ რომ დაბრუნდა, შემდეგი ახალი ამბავი მოგვიტანა: თურმე ერთს იმის ამხანაგთაგანს, როგორც მან გვიამბო, ვიღაც თეთრ წვერა კაცი გამოსცხადებოდა და დაწერილი ქაღალდი მიეცა, შიგა წერებულიყო: „თუ თქვენ მანდედან ზარბაზანს მესვრით, მე აქედან სეტყვას გესვრითო, ჩემთან ჯიბრობა არ გამოგადგებათო. ეს ამბავი ცრუ მორწმუნე თელაველებსა სჯერათ, და თანაც დარწმუნებულნი არიან, რომ ზარბაზანი მართლა ღვთის წინააღმდეგი მანქანაა, და ღვთის ჯიბრი რაში გამოადგებათო. ბევრი ვეჩიჩინე, სეტყვა ღვთის რისხვა კი არა, ბუნების მოვლენა არის მეთქი, მაგრამ მაინც ვერ დავარწმუნე.

ტფილისიდგან მომავალი დილიჯანი ცოტა არ იყოს იგვიანებს, ასე რომ თელაველები „მოდა“-ს თვალ-ნათლივ ვერა გებულობენ. მაგრამ რა წამშიაც-კი დილიჯანის სუნს გაიგებენ, მოჰყვებიან ყვირილს, „ოჰ, კაკაია პრელესტ, დილიჟან იდიოტ“ და ეცემიან ბაღის ღობეს, რომლის გვერდით დილიჯანი გამოივლის ხოლმე; რაკი ვერას გაარჩევენ სიბნელის გამო, ნამეტნავად თუ მთვარიანი ღამეც არ არის, მერე დილიჟნების სადგომისკენ გაქანდებიან. ისე მოაბეზრეს თავი დილიჯნის სადგურის უფროსს, რომ იძულებული გახდა, პოლიციისათვის გამოეცხადებინა. მართლაც ეს რამდენიმე დღეა, რაც სადგურის შესავალ კარებთან ორი პოლიციელი მუდამ სდგას დილიჯნის მისვლის დროს და მომეტებულს ხალხს არ უშვებენ. მაგრამ ვერც პოლიციელებმა შეიკავეს თელაველები: გუშინ ერთს პოლიციელთაგანს კბილები მიამტვრიეს, „რატო სადგურში ჩვენკი არ შაგვიშვი, როცა დილიჯანი მოვიდაო!?

ქართულ ენას ხომ სულ არა კადრულობენ თელაველი ქალები, ერთი პარუსკობენ, ერთი პარუსკობენ, რომ იტყვით, მთელი რუსული წიგნები გადაუყლაპიათო. ვისაც კი რუსული ან-ბანი უსწავლია და ვინც-კი ერთი ორი რუსული სიტყვა იცის, ყველა ცდილობს, რომ ცოდნა გამოიჩინოს.

ჭორიკანობას ხომ თქმა აღარ უნდა, საზღვარი აღარა აქვს. მაინც გათქმულია თელავი ამ საქმეში. არც დასაძრახისნი არიან აქაური ზოგიერთა მანდილოსნები, რა ჰქნან, როცა სხვა საქმე არა აქვთ.

მთელი დღე სხედან და ჭოროკინაობენ. რომ შეიძლებოდეს და იკისრებდეს ვინმე ყოველ დღიურ გაზეთად გამოსცეს „თელავის ჭორი“, მე მგონი, რომ გაზეთში ცარიელი ადგილი არ დარჩეს და ხელის მომწერიც დააკმაყოფილოს, რადგანაც ბევრი გასართობი რამე ეწერება.

გურჯი.

სოხუმი. განახლებული საბჭო უკვე შეუდგა მოქმედებას და ძალიან მხურვალედაც ეკიდება საქმეს. პირველს კრებაზევე კინაღამ თავ-პირი დაამტვრიეს ერთმანეთს ორმა ხმოსანმა. საბჭო ისეთს ერთგულობას იჩენს, რომ სამს უმნიშვნელო საქმესაც-კი ექვსი საათი მოანდომა პირველს კრებაზე.

მოურავის არჩევნებში ხმოსნებს ძალიან ეშინიანთ, „შავი ზღვის უწყებამ“ დას-დასობა არ შეგვწამოსო და ამისათვის ხმა მაღლა ვერ ბედავენ კანდიდატის დასახელებას; ამბობენ, არჩევნების დროს ერთ-ერთს ხმოსანს თვალებს აუხვევენ და ვისაც ის ხელს დაადებს, მოურავადაც იმას აირჩევენო. ამ ნაირად, არც საზოგადო ტაბლის მოტრფიალეთ და მსურველთ ვაწყენინებთ და არც ბალღი გაგვიჯავრდებაო.

ისევ მე.

ნარევ-ნაკვესი-გასართობი.

კახეთში, თელავის მაზრაში, ერთს სოფელს ჰქვიან აღდგომა. შიშიანობის დროს ს. ყვარელში იდგა მელიცია („დრუჟინა“), რომელშიაც, სხვათა შორის, იმიერ ქართველებიც ესახურებოდნენ. ერთი იმერელი მელიციონერი მისულა ს. შილდაში თავის ნათლის-მამასთან და უთხოვნია: შენი ჭირიმე, ნათლიმამ, აღდგომამდე შენი ცხენი მათხოვე, საჭირო საქმე მაქვს, უნდა უთუოდ წავიდეო. ნათლიმამამ იფიქრა, ვათხოვებ, აღდგომამდე სულ ხუთი-ექვსი ვერსია, რა დაუშავდებაო. ათხოვა. იმერელმა ცხენით სააღდგომოდ შინ მოჰკურცხლა, სადაც ორი თვე დარჩა. იმერელი აღდგომის წინა დღეებში დაბრუნდა კახეთში და მიჰგვარა ნათლიმამას ცხენი.

— კაცო, სად დაიკარგე? აკი აღდგომამდე მიგყავდა ცხენი, შენ-კი იმერეთში ამოგიყოფინებია თავი.

— მა რა არის, თუ აღდგომამდე არა! ხვალ არაა აღდგომაო?!

ყვარელის მილიციას უწინ ჩოხის მაგივრად წითელი და მოკლე მაუდის ტყავი ეცვა. 1860 წ., როდესაც მელიციას უფროსობდა თ-დი აფხაზი, ახალი ტანთსაცმელის ნება მოუვიდათ, ესეც მოკლე იყო, შავი მაუდისა, ნაოჭიანი და პაგონიანი. პაგონებზედ ორი რუსული ასო იჯდა „Г. Д.“ (ქართველთა დრუჟინა). მთავრობა სთხოვდა, ამ ტანისამოსის შესახებ თავისი აზრი მოეხსენებინათ. თ. აფხაზმა შეჰკრიბა ოფიცრობა და დაუწყო შინჯვა. ამ დროს მოიხმო უფროსმა, თ. აფხაზმა, მილიციონერი ტიტიკო გოგნიაშვილი და გასასინჯად ჩააცვა ახალი ჩოხა. გოგინაშვილმა მხრებზედ რომ დაიხედა და დაინახა ასოები—,,Г. Д.‘‘, მიუბრუნდა თ. აფხაზს და უთხრა: ,,შე დალოცვილო კნიაზო, მხრებზედ რომ არ დაგეწერინებინათ გოგნიაშვილი დურაკი, ისე არ იცოდით, რაც ვიყავიო‘‘.

არონა.

დეპეშები.

(შურდულის დეპეშათა სააგენტო)

13 ივნისი.

სამტრედია. გუშინ სამტრედიის სამკითხველოში რომ შევიდნენ, სამკითხველოს გამგე მკვდარი ნახეს: მძინარე ბუზებს გამოეხრათ.

ბათომი. ,,ველიჩკოს—ველიჩკიძე—დიდებულიძის‘‘ წერილის გამო, რომელიც ,,რუსკი ვესტნიკში‘‘ დაისტამბა და რომელშიაც ქართველთა სიყვარულით დამთვრალი ველიჩკო ბრძანებს: ,,ქართველები ციმბირს იქით გადაასახლეთ, მანჯურიისაკენაო‘‘, პალიმის რედაქცია საღამოთი გაჩირაღდნებული იყო. რედაქციამ მადლობის დეპეშა გაუგზავნა ბ. ველიჩკოს და სთხოვა, იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ მხოლოდ მისი ქართველი თანამშრომელნი დასტოვონ საქართველოში და დანარჩენები წყალსაც წაუღიაო.

მოსკოვი. გრინგმუტმა დღეს დეპეშით პირს კოცნა გაუგზავნა ბ. ველიჩკოს. ,,არ მეგონა, ვასოჯან, თუ მაგისთანა ყოჩაღი იქნებოდიო. აფერუმ შენს ვაჟ-კაცობას! მაშ მარტო მე არ ვყოფილვარ ბრძოლის ველზეო.

ქუთაისი. შესდგა ახალი დასი არა-ინტელიგენტ დიპლომიანთა დარდიმანდ ვანო ქაჩუხოვის მეთაურობით. მისი გაწვრთნა თავს უდვია გმირთა-გმირ კალისტრატეს, რომელიც ჯერ-ჯერობით სასამართლოში დააწიალებს ამ ბარტყებს. მოგახსენებენ მათ შორის ბევრი გენიოსია დ მალე გახდებიან „მოხერხებულ კაცადო“; მათი მოვალეობაა ჭორი შესთხზან, კოტა ტყუილი გასთალონ, ორიოდე ჯორის წიხლი ძველ ინტელიგენციისაკენ გაიქნიონ და... არ გაწითლდნენ-კი.

იქიდამვე. კენჭობაა ისევ მალე დაიწყება. თავ. ანდრია ერისთავს,—რომელიც შავი-ქვის მრეწველთა კრების დროს ქუთაისის ინტელიგენციისაგან იჯმნა—განუცხადებია,—საურთიერთო კრედიტის კენჭობაა გამომეპარა, მაგრამ წინამძღვრობა სად წამივაო. კიდეც რომ გამაშავონ, არ მეშინიან: ზოგი მთელი თავისი სიცოცხლე პირშავად დაიარება და მე რომ მარტო სიბერის დღეს გავშავდე, რა ვუყოთო. აბა რა ვქნა, მოსვენებას არ მაძლევს იმ შეჩვენებულ ზდანოვიჩის სახელი და მინდა იმის ჯიბრზე მაინც სადმე და ოდესმე თავმჯდომარეობა მეღირსოსო.

სოხუმი. მემამულეთა კრება. ერთი ორატორთაგანი ამტკიცებს,—რადგან ჩვენმა მამულებმა ჩვენი წინაპარნი გარდაინაცვლა, ვალად გვადევს შური ვიძიოთ და სამაგიეროდ ეხლა ჩვენ გარდავინაცვლოთ მამულები. შემთხვევაც კარგი გვეძლევა: გულუბრყვილო უცხოელნი სიამოვნებით ყიდულობენ მამულებსა და მარჯვეთ ვიყოთ, მალე გავასაღოთ, რაც რამ გვაბადია. იმედია ამ ათიოდ წელიწადში სრულიად მოვიცილებთ თავიდგან, ან ჩვენ გავეცლებით მამაპაპათა სამკვიდროსაო. ეს წინადადება მოწონებულ იქმნა ერთხმად. საბრალო უცხოელები, სოხუმელებიც იმათ ატყუებენ და ჩალის ფასად აძლევენ მამულებს!

საჩხერე. ღმერთმა დაგვიფარა ყოველ წარმატებისაგან. არც სკოლები, არც სამკითხველოები, არც სამკურნალო-საავადმყოფოები.

რამდენადაც იგი თავისუფალიაო.

მხოლოდ თავისუფლება უზრუნველ ჰყოფს მწერლობის გულწრფელობას და, მაშასადამე, მის ძლიერებასაც. მწერლობის დანიშნულება არამც თუ იგივე არ არის, რაც სამსახურისა, არამედ ხშირად სულ წინააღმდეგია. სამსახურის მოვალეობა თხოულობს მორჩილებას მაშინაც-კი, როცა ბრძანება ეწინააღმდეგება სამსახურში მყოფის რწმენასა; მწერლობისთვისკი, იმ მწერლობისთვის, რომელიც დირსეულად ემსახურება თვის მოწოდებას, სავალდებულოა მხოლოდ საკუთარი მისი რწმენა, თუნდაც იგი რწმენა ეწინააღმდეგებოდეს კიდეც ადმინისტრაციის განზრახულებათა. მხოლოდ დამოუკიდებელს მწერლობას შეუძლიან იდგეს თვისის მსახურების სიმაღლეზედ, მხოლოდ იმას შეუძლიან, ბევრ შემთხვევაში, სინათლე მოჰფინოს საგნის ყოველს კერძოობასა და წვლილს, აცილოს თვიდგან ქვეყანას შეცდომა, ან გაჰკაფოს გზა ამ შეცდომის გასასწორებლად...

დ ე პ ე შ ა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

13 ივნისს.

პეტერბურგი. „კანონ დებათა კრებულში“ დაბეჭდილა: ზოგიერთა ცვლილება აწინდელ კანონ-დებულებაში შესახებ მამულის ჩამორთმევისა სახელმწიფო და საზოგადოების ხაჭიროებისათვის და ამ მამულების პატრონების საფასის გადახდით.

კიევი. ივანე ნიკოლოზის ძის ტერეშჩენნოს ქვრივმა შეიტანა 30,000 მან. კიევი პოლიტეხნიკუმში დასაარსებლად სამის სტიპენდიისა თავის განსვენებულის ქრმის სახელობაზე და განაცხადა სურვილი შესწიროს ხუთის წლის განმავლობაში ყოველ წლივ 15000 მან. სამხატვრო და სამრეწველო სასწავლებლის შესანახად თავის ქმრის სახელობაზევე დასაარსებლად ამ სასწავლებლისა ტერეშჩენკოს შეუწირავს 200,000 მან.

პორტ-არტური. იაპონიის პრესა ერთობილად ეგებება სამხედრო მინისტრის მოსვლას, რომელიც პრესას სამშვიდობო პოლიტიკის წინდად მიაჩნია.

სტამბოლი. ზინოვიევის მოთხოვნილების გამო დილმა ვეზირმა აღუთქვა სტრუმიცის მიტროპოლიტის გერასიმის უფლებათა აღდგენა.—ოსმალოს დარაჯი ხელ-ახლად გადავიდა სიზღვარს რილოპის მთებში. სამხედრო სამინისტრომ უვარგისად სცნო სამსახური ახლად დაწესებულის საზღვრის ჟანდარმების რაზმისა და ამიტომ გადასწყვიტა მისი დათხოვნა 20-ს ივნისს. საზღვრის სამსახურს აასრულებს წინანდებურად სამხედრო დარაჯთა რაზმი.—ბოლგარიის გაზეთები იუწყებიან, რომ ახალი ბრძოლა მომხდარა ჯუბთისა სარაკიმოვის წინამძღოლობით. სოფელ სენაკოსის ახლო მელნიკის მაზრაში.

ათინა. რადგანაც დეპუტათა პალატაში კაბინეთი დამარცხდა კენჭის ყრის დროს, კაბინეთი დაეკითხა: გვენდობით თუ არაო? 115 დეპუტატმა მისცა თავისი კენჭი კებინეთს და 95-მა წინააღმდეგი. სამინსტრო კრიზისი მოსალოდნელია.—საბერძნეთის დედოფალი წავიდა რუსეთს.

ვენა. უნგრეთის კაბინეთი შესდგა; ხედერვასი მინისტრ-პრეზიდენტათ და შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა, ლუკაჩი—ფინანსთა მინისტრად—ვლასიჩი სარწმუნოებისა და საერო განათლების მინისტრად,—დარანი მიწად-მოქმედების მინისტრად—ჩეხი ხორვატიის მინისტრად, პლოსი—იუსტიციის მინისტრად, ლანგი—სავაჭრო მინისტრად, კლოსკარი—საერო დაცვის მინისტრად, ხორვატიის ბანად (მთავარ-მართებელი) იქნება გრაფი პოსევიჩი, ან ემილი იოსებოვიჩი.

ბელგრადი. დიპლომატების დარბაზობაზე იყვნენ მხოლოდ რუსეთისა და ავსტრიის ელჩები. ავსტრიის ელჩმა ოფიციალურად განაახლა დღეს მიწერ-მოწერა.—გერმანიის იმპერატორმა გაუგზავნა გულითადი დეპეშა.

კილი. იახტა „გოგენცოლეზე“ გერმანიის იმპერატორს გამართული ჰქონდა სადილი ამერიკის ესკადრის მოსვლის გამო.

კარტაგენა. ისპანიის მეფემ დაათვალიერა საფრანგეთის ესკადრა და ეწვია „სენლუის“ გემზედ საუზმეზე; რომლის დროსაც მეფემ დალია სადღეგრძელო პრეზიდენტ-ლუბესი. საუზმის შემდეგ მეფემ დაათვალიერა რუსეთის, ინგლისის და პორტუგალიის გემები.

სოფია. პოლიციამ შეიტყო, რომ მაკედონიიდამ ამ უკანასკნელ დღეს მოვიდნენ მეამბოხენი და დამალეს ასაფეთქებელი წამლები ვიღაცა ხევულიცკის სახლში, კუსტენდილში, პოლიცია გარს შემოერტყა ამ სახლს. ასაფეთქებელი წამლების დამალვის დროს სიჩქარით იფეთქა წამალმა, მოკლულია 6 კაცი.

სალონიკი. ოსმალოს ჯარმა გუმინიცის მაზრაში, შავის წყლის ახლო გაჰფანტა ბულგარიის ჯუფთი, რომელსაც ჰქონდა დინამიტი. მოკლულია 8 მეჯუფთე, მათ შორის ჯუფთის ბელადი იოლანი.

14 ივნისი.

ჩარჩუი. მოვიდა აქ ბუხარიის ემირი და გაემართა ყირიმისკენ.

ბელგრადი. ოფიციალურს გაზეთში გამოცხადებულია მეფის ბრძანება ჯარისა და მხედრობის მიმართ.

სოფია. გავრცელებული ხმა, რომ ვითომ მთავარს განზრახვა აქვს დასტოვოს ქვეყანაი, ჰორიაო.—მთავარმა მიიღო სერბიის მეფისაგან დეპეშა. დეპეშით მეფე აუწყებს, რომ ტახტზედ ავედიო. მთავარმა მიულოცა მეფეს მეფობა და უსურვა ბედნიერება.—ბოლგარიის სამზღვარზედ ოსმალთა მთავრობამ შესამჩნევად გააძლიერა სადარაჯონი. ამ სადარაჯოებს შესცვლიან ძლიერნი რაზმნი ქვეითის ჯარისა, ცხენოსანთა ჯირისა და არტილერიისა.

ბერლინი. ხელ-მეორედ კენჭის ყრის დროს არჩეულ იქმნა 20 კონსერვატორი, 12 საიმპერიო დასის კაცი, 8 ანტისემიტი, 12 შუაგულ დასისა ანუ ცენტრისა, 44 ნაციონალ-ლიბერალი, 20 თავისუფალი მოაზრე საერო დასისა, 6 გერმანიის საერო დასისა, 9 თავისუფალ მოაზრეთა კავშირისა, 25 სოციალ-დემოკრატი, 3 ელზასელი, 2 პოლონელი, 4 გველფი, 3 წევრი გლეხ-კაცთა და სასოფლო-სამეურნეო კავშირისა და 6 დამოუკიდებელი. ოთხის ხელ-მეორედ კენჭის ყრის შედეგი ჯერ არ არის გამორკვეული. ორიისათვის კიდევ უნდა იქმნას ხელ-მეორედ კენჭის ყრა.

კენიგსბერგი. ის ცნობა ვითომც ვისლავარტის არხის გაყვანა უზრუნველ-ყოფილია, სიმართლეს მოკლებულია, ამ პროექტის ასრულების იმედი არ უნდა გვქონდეს; უფრო საიმედოა ვინდავა-მემელის არხის პროექტი. ამ არხის გაყვანა ახლო მომავალში უნდა დაიწყოს. რუსეთის მთავრობა მხნედ იცავს ამ პროექტს და იმედი აქვს ამ არხის გაყვანით გააძლიეროს სატყეო მრეწველობა მემელის ნაპირებზედ და ხელი შეუწყოს უფრო ნაყოფიერს შემუშავებას რუსეთის ხე-ტყისა რუსეთშივე.

პეტერბურგი. გამოცხადებულია ცერემონიალი თუ რა გამოჩინებით უნდა ამოიღონ წმინდა ნაწილნი ღირსისა მამისა სეფამისა, საროვის სასწაულთ-მოქმედისა.

პეტერბურგის ბირჟა, 13 ივნისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	$37{,}32^{1}/_{2}$
ლონდონში ჩეკები	94,50
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	—
პარიჟის დისკონტი	5 $6^{1}/_{2}$ %
5% სახელმწიფო რენტა	$98^{3}/_{8}$ მყიდ
4% სახ. სესხი 1902 წ.	$100^{7}/_{8}$ მყიდ.
4% გირავნ. ფურც სახელ. საადგ. მამულო ბანკის	$95^{1}/_{8}$ გაყ.
5%-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$441^{3}/_{4}$ წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	339 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$288^{3}/_{4}$ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
$4^{1}/_{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9600 წვ. გაყ.
აქციები „ „ „ „	—
„ „კასპიის ამხანაგობისა.	—
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	$185^{1}/_{2}$ წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს; 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № $74/_{75}$ ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № $7/_{8}$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 6 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ. 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

განცხადება


Парфюмерія
„Шампака"
Духи, мыло и цвѣточный одеколонъ
Т-ва А. Ралле и Ко.

ერიდეთ! არ მოატყუვდეთ!

ჰიგიენური

ბორნო-ცომოლის საპონი

პროვიზორის

გ. ფ. იურგენსისა.

აქრობს ჭორფლს, ნასიცხ—ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ ყველას, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი, ლონდონი 1893 წ.

ფასი თითო ნაჭერისა 50 კ. ½ ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სახაფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან, **მოსკოვში.** (40—6.—15)

ქუთაისში

ს. მ გ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

საკოსმეტიკო მასალა

БЕРТА РИСЪ

მის იმპერატორ. უდიდებულესობ. კარის ვაჭარი

Pasta Eugénie საცხებელი (პუდრა) პირი-სახისათვის, რომელიც აქრობს სწრაფად მზისაგან ალანძულებას, ჭორფლს, სიწითლის ლაქებს არბილებს პირისახის კანს, აგრედვე სიახლესა და სილამაზეს აძლევს სახე'ს. ფასი 1 მ. 60 კაპ.

პუდრა-Eugénie თეთრი, ვარდის ფერი და რაშელი. მაგრად ეკვრის კანს და თვალისათვის უჩინარია; აგრედვე აძლევს პირის-სახის კანს შესანიშნავს სირბილეს, სიფაფუკესა და სინაზეს. ფასი 1 მ. 20 კ. შესაფქვევის ბუმბულის კანით 1 მ. 50 კ.

ფერ-უმარილი-Eugénie (წყალივით არის) და აძლევს ლაწვებს და ყურებს სრულიად ბუნებრივს ვარდის ფერს, რომელსაც არ ეშინიან არც დღისა და არც ელექტრონის სინათლისა. ფასი 1 მ. 50 კ.

Elixir-Mélange წყალივით სახმარია თმის აზრდელად და თავში ქერტლის გასაწყობად. ფასი 2 მ.

დაფნის ბალზამი (პუდრაა წყალივით) აძლევს პირი-სახეს, ყელს, ხელებს და სხვ. ნაზს სირბილეს და მარმარილოს მზგავს სისუფთავეს. აქრობს მზისგან ალანძულობას, ჭორფლს და კანის ყოველსავე ძი ა-ბოებს. ფასი 1 მ. 75 კ.

ქინაქინ-გლიცერინის-მიერი თმის საცხებელი (პომადა) პერუს ბალზამით შეზავებული გასამაგრებლად, გასახშირებლად და გასაზრდელად თმისა. ფასი 2 მან.

სალებავი თმისა (რის-გუტმანი): შავი, მიხაკისფერი, შატენი და ბლონდი. ამ სალებავით შეღებილი თმა 6 კვირის განმავლობაში შეირჩენს ფერს; შემდეგ არ მიიღებს არც მოწითანო და არც ჯიგრის ფერს. ფასი 3 მან.

უნგარული ესენცია ულვაშებისათვის (რის-გუტმან) აძლევს ულვაშებს სასურველს ფორმას, ამაგრებს და ხელს უწყობს მათს სწრაფლს ზრდას. ფლაკონი პატარა სარკით ადვილად შეინახება ჟილეტის ჯიბეში. ფასი 75 კაპ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის რისგუტმანისა) აქრობს ბებერებსა და მეჭეჭებსა, აქრობს ძირიან ფესვიანად. ფასი ფლაკონისა—80 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისშია. საათფ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველ საათფთიაქო მაღაზიაში.

ტექსტი ამოღებულია „Прав. Вѣст.“-იდან, № 233 1901 წ. (80—23)

ექიმი გვყავდა და როგორც იყო, ისიც თავიდგან მოვიშორეთ; ან რად გვინდოდა ექიმი? განა ჩვენს ჯანაოზ მკითხავებს შეედრება ვინმე: წამლობა იმათაც კარგად იციან და სიკვდილი ხომ—ღმერთის საქმეა.—ბანქოს თამაში მარჯვედ მიდის. ზოგნი დედულ-მამულს კი არა, ცოლის მანდილსაც აგირავებენ. ადგილობრივი ლხინიკო-უქმაძეები მაჭავარიანის მოზვერივით ხან ერთისას შეყერყეტდებიან, ხან მეორესას. მასპინძელს ზრდილობიან სალამს მოახსენებენ და მოუჯდებიან სავსე სუფრას. ღვინის დაძალება საჭირო არაა—ძალ-დაუტანებლადაც არხეინად ჰყლაპავენ. მოლხენა დიახ ჩინებული იციან. ხან-და-ხან ერთმანერთსაც მისტყეპენ ხოლმე, მაგრამ არავინ ჰკვირვობს,—ეს ჩვეულებრივი მოვლენააო.

14 თიბათვე

ტფილისი. აქ ყველას აკვირვებს ის გარემოება, რომ „ნოვოე ობოზრენიის“ რედაქტორმა ველიჩკოს წერილიდამ მხოლოდ ქართველების ლანძღვა-ძრახვა ამოიღო და დაბეჭდა თავის გაზეთში, ხოლო სომეხთა ქებათა-ქება-კი მიაფუჩეჩაო.

ჭიათურა. ჭიათურელი ოპოზიცია სიხარულით ფეხზე აღარა სდგას: ველიჩკოს ძალითა და შეწევნითა ზდანოვიჩს თავის დასით მანჯურიისაკენ გაგზავნიანო.

თელავი. დღეს დილით ქალაქის ბაღში თელაველმა „მოდნის მოყვარულმა ქალებმა“ იერიში მიიტანეს იმ მოამბეზე, რომელმაც „შურდულში“ დასტამბა „მოდნის“ საწინააღმდეგო წერილი. გაჩნდა ზონტიკით ბრძოლა; მოამბე ხელშია დაშავებული.

ქუთაისი. ქუთაისის სამება-ერთ-არსება—აღა-კალისტრატე, ჭიჭინაძე და ქვარიანი დღეს საღამოს ექვს საათზე სადგურზედ მიეგებებიან პურ-მარილით თ-დ ანდრია ერისთავს, რომელსაც ფოთიდგან მოელიან. ხმა გავარდა,—თ-დს ანდრიას საკენჭაო ყუთებიც თან მოაქვსო. ვანო კაჩუხოვი, როგორც ფეხმარდი შიკრიკი, საღორის ტყით გაჰგზავნეს სადგურ რიონზედ დასახვედრად და იქიდგან გამოსაცილებლად,—ვინიცობაა ზდანოვიჩი თავს დაესხას, ანდრიას არა ავნოსრაო და თუ ვინმე შენც გავნო, პასუხს ჩვენ გავცემთო.

საჟიალო პროსპექტი. დღეს საღამოს გაიმართება უფასო სეირნობა. თუმცა გოჯნახევარი მტვერი ადევს პროსპექტსა, ჩვენის ქალაქის გამგეობის გულსმოდგინეობით, მაგრამ იმედია მოსეირნე მანდილოსანნი თავიანთ კუდებით დაჰგვიან და გაასუფთავებენ იქაურობას. ცეკვა-თამაშის სამაგიეროდ დანიშნულია ლაქლაქ-ლიკ-ლიკ-კურ-კურ-ტიკ-ტიკი.

რედაქტორ-გამომცემელი ია. ერაძე.

დამზღვევი საზოგადოება

„რ ო ს ს ი ა“

ს. პეტერბურგი, Морская № 37.

მმართველობა პეტერბურგში,

მორსკაია, 37.

ანგარიში 1902 წლის შემოსავალ-გასავლისა

შემოსავალი

გადმოტანილია 1901 წლის მოგების დანარჩენი მან.	1,481	82
შეგროვილ პრემიებათ 1902 წ.	18.087,479	18
შეტანილია საზოგადოებისაგან გადასახდევი ხარჯი, რომელიც იმათის მოქმედებით მოხდა	2.429,122	78
მოგებულია საზოგ. თანხ. სარგებელი	2.110,763	97
მან.	22.628,847	75

ხარჯი.

მიცემულია დასახლებაში . მან.	10.652,339	56
მიცემულია პრემიათ გადაზღვევაში	5.363,962	55
ხარჯი გამოცემისა, კომისისა და აგენტებზე	1,568,468	03
ხარჯი გამართებულობისა	850,420	15
მიმატებულია პრემიების სავარაუდო სახარჯავათ	3.198,218	46
მოგება:		
დამზღვევთა სასარგებლოდ	297,040 67	
„ საზოგადოებისა	688,398 33	
	985,439	—
მან.	22.628,847	75

*) აქციის პატრონთ თითო აქციაზე ეძლევათ 25 მ.

ა გ ე ნ ტ ე ბ ი

უველა სახელმწიფოში

ბალანსი 1903 წ. 1 იანვრისა

აქტივი

ნაღდი მმართველ. კასსაში . მან.	243,180	61
შეტანილი მიმდინარე ანგარიშში ბანკებსა და დამზღვევ საზოგად.	5,384,201	63
სარგებლიანი ქაღალდები	18.120,163	28
საზოგ. კუთვნილ სახლ. ღირებულება	20.142,962	71
სარგებლიან ქაღალდებზე გაცემული	600,000	—
გაცემული პოლისების თავდებობით სესხად	6.116,943	16
ნაღდ ფულად განყოფილებათა და აგენტებთან.	2,674,464	99
სხვა წყაროებით აქტივისა.	516,855	96
მან.	53.798,772	34

პასსივი:

დასაფუძნებელი თანხა (16,000 აქციების, თითო 250 მ.) მან.	4.000,000	—
სათადარიგო თანხა საზოგ. კუთვნილთა დაზღვევის სარგებელი	2,437,014	10
სავარაუდო სარეზერვო	41.134,458	62
სავარაუდო გამოუკვლეველ ზარალისათვის	2.317,370	30
ზარალისათვის დარჩენილი გადაზღვევის საზოგადოებათა და სხვა მოვალეობისა	2.298,301	43
სხვა წყაროებით პასსივისა	923,228	56
მოგება საზოგადოებისა 1902 წ. *)	688,398	34
მან.	53.798,772	34

(1—150—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 іюня 1903 г. Типографія „Гутенбергъ" (кн. Гр. Діасамидзе, дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.